ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ:

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი დ. შაშკინი

სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 2010 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროგრამა

თბილისი

2009 წელი

სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 2010 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროგრამა

ორგანიზაციის დასახელება: სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

მისამართი: 0105, ქ. თბილისი, ქიქოძის ქ., №14

ტელეფონები: (995-32) 99.68.53, (995-32) 93.34.44

დირექტორი: ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე

პროგრამის სახელწოდება: " სიღარიბის დონის შემცირების ეკონომიკური მოდელის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა საქართველოში"

იგი წარმოადგენს ინსტიტუტის 2009-2012 წლების პირველი პრიორიტეტული მიმართულებით – "უმუშევრობის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევის ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება საქართველოში"- **განსაზღვრულ მეორე პროგრამას, რომელიც სრულიად პასუხობს სამთავრობო პრიორიტეტს – "მოსახლეობის კეთილდღეობა – საქართველო სიღარიბის გარეშე" სიღარიბის დონის შემცირების ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ამ სამთავრობო პრიორიტეტის განხორციელებას.**

პრობლემების აღწერა:

პროგრამა მოიცავს შემდეგ ეკონომიკურ პრობლემებს:

1. სიღარიბის დაძლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს;
2. საქართველოში სიღარიბის დაძლევის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის შემუშავება;
3. ინოვაციების გავლენა სიღარიბის დონეზე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს;
4. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გავლენა სიღარიბის დონეზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში;

5. სიღარიბის დაძლევის სტრუქტურული და რეგიონული თავისებურებები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს;
6. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება – სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საქართველოში.
7. სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობა და მისი გავლენა სიღარიბის დონეზე საქართველოში;
8. პრივატიზების შედეგები და მისი გავლენა სიღარიბის დაძლევაზე საქართველოში;
9. სიღარიბის დაძლევის ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური ფაქტორები საქართველოში;

პროგრამის მიზანი: პროგრამის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის შემუშავდეს სიღარიბის დაძლევის თეორიული მოდელი და დაისახოს საქართველოში მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებები და გზები.

პროგრამის ამოცანები: პროგრამის მიზნიდან გამომდინარე მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში):

- სიღარიბის შემცირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა;
- სიღარიბის შემცირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფა;
- ინოვაციების გავლენის დადგენა სიღარიბის დონის შემცირებაზე;
- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გავლენის დადგენა უმუშევრობის დონის შემცირებაზე;
- სიღარიბის დონის სტრუქტურული და რეგიონული ფაქტორების განსაზღვრა;
- სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლების გზების განსაზღვრა, სიღარიბის შემცირების მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- სასოფლო წარმოების განვითარების გზების განსაზრვრა, სიღარიბის შემცირების მოთხოვნათა კონტექსტში.

- სიღარიბის შემცირებაზე პრივატიზების შედეგების გავლენის დადგენა და შესაბამისი გზების დასახვა
- სიღარიბის შემცირების ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური ფაქტორების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

გარდა ძირითადი სამეცნიერო ხასიათის ამოცანებისა პროგრამის განხორციელების მსვლელობაში ასევე გადაწყდება შემდეგი სახის დამხმარე და თანამდე ამოცანები:

- სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება;
- წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება ზემდგომი ორგანოებისათვის;
- მონაწილეობის მიღება სამეცნიერო კადრების მომზადებაში;
- სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- სამეცნიერო ჟურნალის გამოცემების გაგრძელება;
- პერიოდული გამოცემის – "პაატა გუგუშვილუს ეკონომიკის ინსტიტუტეს სამეცნიერო შრომების კრებულის"– მე-2 ტომის გამოცემა;
- სამეცნიერო, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკონსულტაციო-საექსპერტო სამუშაოების ორგანიზება; როგორც ზემდგომი ორგანოების, ასევე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის;
- საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება.

პროგრამის განხორციელების გზები:

ამ პროგრამის განხორციელების გზებს შეიძლება ძირითადად მიეკუთვნოს:

– შესასწავლი საკითხების კვლევის დროს ძირითად ამოსავალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებად ეკონომიკური აზრის კლასიკოსთა, გამოჩენილ უცხოელ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომების გამოყენება;

– შესასწავლი საკითხების ირგვლივ მსოფლიოში, მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში, ამჟამად დაგროვებული გამოცდილების გაცნობა, გაანალიზება, განზოგადოება, ანალოგიების შექმნა, მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო გზების ძიება და გამოყენება.

კვლევის დროს პოსტკომუნისტური ქვეყნების, კერძოდ საქართველოს სახელისუფლებო, საკანონმდებლო, სამთავრობო და სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა ოფიციალური დადგენილებების, კანონების, ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინება.

– კვლევის დროს შესასწავლი საკითხების შესახებ ამჟამად არსებული ყველა ძირითადი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, აგრეთვე სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და სემინარების მასალების გამოყენება;

– კვლევის დროს ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციის, დედუქციის, ეკონომიკური და მეთემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და ანალიზის, პროგნოზირებისა (სახელდობრ საექსპერტო შეფასებების, სცენარების და ა.შ.) და სხვა მეთოდების გამოყენება;

– სპეციალური სამეცნიერო კავშირების დამყარება შესასწავლი საკითხების მკვლევარ სამეცნიერო ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან;

პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

მეცნიერული შედეგებიდან ძირითადს წარმოადგენს ის, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, მათი თავისებურებებიდან გამომდინარე განისაზღვრება სიღარიბის დაძლევის ძირითადი მიმართულებები და გზები, შემუშავებული იქნება მათი განხორციელების შესაბამისი მექანიზმები.

გარდა ამისა, პროგრამის განხორციელების საფუძველზე შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული რელიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოში სიარიბის დონის შემცირებას.

უფრო კონკრეტულად პროგრამის მოსალოდნელი შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნათა გათვალისწინებით:

–მოხდება სიღარიბის დონის შემცირების თეორიული საფუძვლების სრულყოფა;

– დადგინდება საქართველოში სიღარიბის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები, შემოსავლების განაწილების უთანაბრობის დონე;

– შემოთავაზებული იქნება სიღარიბის დონის შემცირების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი. რომელშიდაც განსაზღვრული იქნება რეგულირების სამართლებრივი ბაზა; რეგულირების ფულად-საკრედიტო, ფისკალური, მონეტარული და სხვ. ინსტრუმენტები; მარეგულირებელი ორგანოები; რეგულირების ღონისძიებთა სისტემა და ა.შ.

– დადგინდება ინოვაციების სიღარიბის შემცირებაზე გავლენის თავისებურებები;

– გამოვლენილი იქნება სიღარიბის დონის შემცირებაზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გავლენის თავისებურებები;

– დადგინდება სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული და რეგიონული ფაქტორები;

– დადგინდებაბა საქართველოში განხორციელებული პრივატიზების პროცესის შედეგების გავლენა სიღარიბის დონის შემცირებაზე საქართველოში;

– დასახულ იქნება სიღარიბის დონის შემცირების ძირითადი მიმართულებები და გზები სოფლად;

– დადგინდება დასაქმების დონის ამაღლების ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური ფაქტორები;

– პროექტში მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები ზემდგომ ორგანოებში წარსადგენად და სხვ.

პროექტში მიღებული შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული 2009-2012 წლების საშუალოვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასა და გადაჭრას.

პროგრამის შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

პროგრამის შედეგების შუალედური შეფასებები მოხდება ინსტიტუტის განყოფილებათა მიერ სამ თვეში ერთხელ, დირექციის წარმომადგენლის თანდასწრებით. პროგრამის მიმდინარეობის ნახევარი წლის შედეგები განყოფილებათა გამგეების მიერ მოხსენდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს (შუალედური შეფასებების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების შემთხვევაში ინსტიტუტის დირექცია მიიღებს შესაბამის ზომებს).

პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით პროექტის კოორდინატორთან თვეში ერთხელ ჩატარდება სამეცნიერო თათბირი. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება პროგრამაში შევიდეს შესწორებები, რაზედაც წინასწარ ეცნობება საქართველოს განათლების სამინისტროს.

პროგრამის შედეგების შეფასება მოხდება ჯერ ინსტიტუტის განყოფილებების, ხოლო შემდეგ კი სამეცნიერო საბჭოს მიერ, დირექციის წარმომადგენლის მონაწილეობით. სამეცნიერო საბჭოზე დასრულებული ნაშრომების შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ განყოფილებათა ხელმძღვანელები.

ნაშრომთა წინასწარ შესაფასებლად დირექციის მიერ ინიშნება ორი შემფასებელი. ორივე შემფასებლის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დირექციის მიერ დაინიშნება სპეციალური სამეცნიერო სემინარი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის ვარგისიანობის თაობაზე. რ-თი შემფასებლის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საკითხს – ნაშრომის ვარგისიანობის შესახებ წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, შესაბამისი განყოფილების შუამდგომლობის საფუძველზე.

პროგრამის მონიტორინგს ჩაატარებს ინსტიტუტის დირექცია, რომელიც პერიოდულად შეამოწმებს შუალედური და საბოლოო შეფასებების ჩატარების თანადროულობას და სისწორეს.

პროგრამის საბოლოო მიღება მოხდება დირექციის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ.

პროგრამის კოორდინატორი: ე.მ.დ., პროფ. რამაზ აბესაძე. ტ: სამ. – 99.07.02, ბინ. – 52.39.65, მობ: 893 350.485. ელ. ფოსტა: ramazabesadze@yahoo.com

ინსტიტუტის დირექტორი
ემდ, პროფესორი რ. აბესაძე

მთავარი ბუღალტერი მ. ჭინჭარაული